

ლექსები

ჩემი სოფელი

გაფრენა

შეყვარებულს

ავი

იობის ჩივილი

გოეთედან

ჩემი სოფელი

(ხალხურივით)

მამამ სოფელში გამგზავნა,
წადი, შეასვი წყალიო;
ეგებ მოიკლან წყურვილი,
ეგებ გაიძღონ თვალიო.

წყალი წავუღე კამკამა,
დილის ცვარ-ნამის დარით.
დოქს წიხლი მიკრეს იჭვითა:
"რა ვიცით, ვისი არიო?!"

მათ ჩემი არა უნდოდათ,
სხვაგან ურბოდათ თვალიო.
სულ აღრეოდათ შურითა,
ცოდვილებს გზა და
კვალიო.

ლალი-ბადახში ვუბოძე,
თვალ-მარგალიტი
მრგვალიო.
ხელი არაფერს შეავლეს,
სამსალით იყვნენ
მთვრალიო.

მათი ცოდვებიც ვიკისრე,
მართლაც ძნელი რამ არიო.
ვუთხარი: "ეგებ გამომყვეთ,
თქვენთვის ღიაა კარიო!"

ოცდაათ ვერცხლად
გამყიდეს,
ეს არის სამართალიო?
ცხარე ცრემლებით ატირეს
ჩემი მშობელი ქალიო.

ჩვენ რომ ჭირი გვჭირს,
იცოდე,
არის სულ შენი ბრალიო.
ბევრი მცემეს და მაწამეს,
ცხვირში მაღინეს ძმარიო.

ბოლოს ორ ძელზე გამაკრეს,
თოკით გამიბეს მხარიო.
თუ მამაშენის შვილი ხარ,

ხელში ლურსმანი
ჩამჭედეს,
არ დამიხუჭეს თვალიო.
ვინც ჩვენს სოფელში
ჩამოვა,
გაი იმისი ბრალიო!

2001 წლის იანვარი



გაფრენა

ჩვენ გავეჭვით ქალაქის სიციხეს
და იმ ურჩხულებს მასში რომ იცის.
ჩვენ მთაწმინდიდან ავფრინდით ერთად,
ერთიმეორეს მივეცი თიცი,
რომ ვერ გაგვთიშავს ძალა ვერარა,
ვერც ძალა ზეცის, ვერც ძალა მიწის.

მოხუცი მოლა იდგა გუმბათზე,
ვიცოდით, ქალაქს აკლია თევზი.
ქვემოთ გზასავით მოსჩანდა მტკვარი
და ხალხით სავსე ვეება ეზო.
ჩვენ მთაწმინდიდან ავფრინდით ღამით
და დასავლეთით ავიღეთ გეზი.

თამუნამ მითხრა, შეხედე სასწაულს!
როცა გამოჩნდა სვეტიცხოველი.
ცა იყო წყნარი, მიწა მოკლული,
არაგვი გიჟი, დაუდგრომელი.
მე ვუცქეროდი მის ნატიფ თითებს
და მე მიყვარდა წამი ყოველი.



მარჯვნივ ბრჭყვინავდა კაკასიონი,
ბედკრულ რუსეთის სამხრეთ დარაბად.
ჩვენ მივფრინავდით ნელა, ნარნარად,
დავციმციმებდით ვერცხლისფერ ამბად.
მე მეცვა ლურჯი ჯინსი - ლევისი,
და მას კი, თეთრი ატლასის კაბა.

როდესაც ჩვენი ფარფატა ჩრდილი,
გარიჟრაჟიდან დაეცა ღრუბელს,
გადავუფრინეთ ბაგრატის ქალაქს
და მშენებარე ციხეს ხელთუქმნელს.

მაშინ ვიფიქრე, ნეტავი იმას,
ვინც იცდის, დრო აქვს და გულიც უთმენს.

მალე გამოჩნდა ზღვა დიდებული
და ერთი-ორი თეთრი ხომალდი.
ჩვენ ვიცინოდით, ლაღად ვცურავდით,
შეაგულ ზღვაში შემოდგომამდი,
ზღვაშიც და ცაშიც გატაცებული,
ქარებს და ტალღებს აღარ ვზომავდით.

ჩვენ ვანდომებდით დღესა და ღამეს,
ლამაზ ოცნებას, სიყვარულს, სიცილს.
მერე კი, იგი აფრინდა ცაში,
რატომ აფრინდა, არავინ იცის.
მე დავრჩი მარტო, სულ მარტოდ-მარტო
და უნებლიეთ გავტეხე ფიცი.

ეს სულ ასეა, მაღალი ნებით;
ვიღაც მოდის და ვიღაც ცხონდება.
თავისუფლება მხოლოდ სიტყვაა
და გაფრენილთა ჩუმი გოდება.
მეც აღარა ვარ და რაც არ იყო,
აღარც არავის მოაგონდება. . .

1998

ჩემს შეყვარებულს

ღრუბლებს მოათრევს ქარი -
უამინდობას უწყის,
მე რა დამარჩენს ქვეყნად,
შენ ჩემთან ყოფნა თუ გწყინს.

2002

ავი

როცა ავი იფრითებით,
მოფრინდება ბინ ლადენი,
მახსენდება ჩემი სისხლიც,
ყანდაჰარში დანადენი,
ულმობელი მირ - ვეისი,
ძალადობის ავი ღმერთი,

ავი ღონე, ავი გონი,
ავ - ღანეთი, ავღანეთი.

2001 წლის 11 სექტემბერი

1709 წლის აპრილში ერთერთი ავღანური ტომის ბელადის მირ-ვეისის მუხთლურ აჯანყებას ყანდაჰარში შეეწირა გიორგი მეთერთმეტე, "უკანასკნელი დიდი გიორგი (ლ. სანიკიძე)" და ათასობით სხვა ქართველი.

იოზის ჩივილი

რატომ მექცევი, როგორც თამადა?
რატომ არ მაძლევ დროს, რომ გავერთო?
ცხოვრების ყველა მწარე შესასმელს,
ასე ბეჯითად რად მასმევ, ღმერთო!?

2001

გოეთეს მოხეტიალის მეორე სიმღერა

(თარგმანი)

ყველა მწვერვალზე
სუფევს სიმშვიდე,
კენწეროებიც
დგანან მღუმარე;
ტყეში ჩიტებიც აღარა სტვენენ.
ცოტაც, და მალე
შენც მოისვენებ.

აი ორიგინალი და სხვა თარგმანები:

Wandrer's Nachtlied II

გერმანული ორიგინალი, ლერმონტოვის რუსული და მილან კუნდერას ინგლისური თარგმანი

Über allen Gipfeln
Ist Ruh,
In allen Wipfeln
Spürest du
Kaum einen Hauch;
Die Vögelein schweigen im Walde.
Warte nur, balde
Ruhest du auch.

Горные вершины
Спят во тьме ночной,
Тихие долины
Полны свежей мглой;
Не пылит дорога,
Не дрожат листы...
Подожди немного-
Отдохнешь и ты!

On all hilltops
There is peace,
In all treetops
You will hear
Hardly a breath.
Birds in the woods are
silent.
Just wait, soon
You too will rest.

აი, სერგი ავალიანის ძალიან კარგი თარგმანი:

მალალ ქედებზე
სუფევს ღუმილი,
მთის მწვერვალებზე
ოდნავ გესმის მეშვინავი ძილი,
ტყეში მღუმარებს ჩიტთა გუნდები,
დაიცა ცოტა
შენც დაღუმდები.